სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
მუსიკის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის ვაკანტურ
აკადემიურ თანამდებობებზე შესარჩევი
საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №4

ქ. ბათუმი

26 ივლისი 2018 წელი

*სხდომას ესწრებოდნენ* კომისიის წევრები: გოგი ჭიჭინაძე,
მაია ჭიჭილეიშვილი, ნინა ოგანეზოვა, ირინა ხერჟ
და გულნარა ახვლედიანი

## *დღის წესრიგი*

ხელოვნების უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის ანგარიში საკონკურსო კომისიის მუშაობის შედეგების შესახებ.

**მოისმინეს:** ხელოვნების უნივერსიტეტის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის ანგარიში, რომელმაც აღნიშნა, რომ „ უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის „ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის“ საფუძველზე საკონკურსო გამჭვირვალობის, თანასწორობის და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად განიხილა კონკურსანტის განცხადება.

შემოსული იყო 2 კონკურსანტის განცხადება ერთ აკადემიურ თანამდებობაზე. კონკურსის ჩატარების დღეს საკონკურსო კომისია განიხილავს კონკრეტულ საკონკურსო თანამდებობაზე არსებულ ვაკანსიებზე კონკურსში მონაწილე თითოეული კონკურსანტის მონაცემებს, ღია კენჭისყრით იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. ამასთან, საკონკურსო კომისიის ყოველ წევრს უფლება აქვს კონკრეტულ საკონკურსო თანამდებობაზე ხმა მისცეს არაუმეტეს იმდენ კონკურსანტს, რამდენი საკონკურსო ადგილიცაა მოცემულ თანამდებობაზე. კონკურსში გამარჯვებულად (აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულად) ჩაითვლება კონკურსანტი, რომელსაც ხმას მისცემს საკონკურსო კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

**ღია კენჭისყრის ჩატარების მიზნით**

ა) კომისიის თავმჯდომარემ აკადემიური სიმღერის დეპარტამენტში სოლო სიმღერის მიმართულებით გამოცხადებულ ასისტენტ პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე ხმა მისცა ტარიელ გველესიანის კანდიდატურას.

ბ) კომისიის მდივანმა აკადემიური სიმღერის დეპარტამენტში სოლო სიმღერის მიმართულებით გამოცხადებულ ასისტენტ პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე ხმა მისცა ტარიელ გველესიანის კანდიდატურას.

გ) კომისიის წევრებმა აკადემიური სიმღერის დეპარტამენტში სოლო სიმღერის მიმართულებით გამოცხადებულ ასისტენტ პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე ხმა მისცეს ტარიელ გველესიანის კანდიდატურას.

ამგვარად, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის 5 წევრმა, კენჭისყრის შედეგად ხმები გადანაწილდა შემდეგნაირად:

1. გველესიანი ტარიელ - 5 ხმა;
2. ხამათაშვილი ზაზა - 0 ხმა;

დაადგინეს: 1. მუსიკის ფაკულტეტზე, აკადემიური სიმღერის დეპარტამენტში სოლო სიმღერის მიმართულებით გამოცხადებულ ასისტენტ პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე არჩეულ იქნას: ტარიელ გველესიანი

2. დამტკიცდეს წინამდებარე ოქმი და ოქმის განუყოფელი ნაწილი საკონკურსო კომისიის დასკვანა. აღნიშნული დოკუმენტები დადგენილ ვადაში გამოქვეყნდეს ბხსუ–ს საინფორმაციო დაფაზე და ვებ-გვერდზე.

სხდომის თავმჯდომარე _____ გოგი ჭიჭინაძე

მდივანი: _____ მაია ჭიჭილეიშვილი

კომისიის წევრი:

ირინა ხერჟ _____

ნინა ოგანეზოვა _____

გულნარა ახვლედიანი _____